ეროვნული ბიბლიოთეკა




**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ულუღრივი სტრიქონი რვაკ. [illegible]

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---


ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 9 ოქტემბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

**უხასიათობის მსხვერპლი**

დრამა 4 მოქმედ. ჩეხოვისა თარგ. მ. ნასიძისა

II

**ქართული ხორო**

ბ. რატილის ლოტბარობით იმღერებს სხვა-და-სხვა ქართულს ხმებს.

მონაწილეობას მიიღებენ: საფაროვისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, არლანისა, ბ-ნი აბაშიძე, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, შათიროვი, საფაროვი ადამიძე, თამაზიშვილი, და სხვა.

დასაწყისი სწორედ $7^1/_2$ საათზედ.

ადგილების ფასი:

ლოჟები 3 მანეთიდამ მოყოლებული 10 მანეთამდე,

სკამები სამის აბაზიდან სამ მანეთამდე

გალერეა ერთის აბაზიდან მოყოლებული ორ აბაზამდე.


---

## ახალი ამბავი

*** მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი პალლადი, როგორც გუშინ დეპეშით გვაუწყეს პეტერბურგიდგან, დანიშნულ იქნება კიევის და გალიციის მიტროპოლიტად, განსვენებულ მიტროპოლიტ პლატონის ალაგას, ხოლო საქართველოს ექსარხოსად დანიშნულ იქნება მისი ყოვლად უსამღვდელოესობა მთავარ ეპისკოპოსი ლეონტი.

*** დღეს მოელიან ტფილისში სამხედრო სამკურნალოს დეპარტამენტის უფროსს, ტაინი სოვეტნიკს ა. ა—ძეს რემერტს, და მის ჩამოსვლისა გამო ტფილისში ორშაბათ სადამოს საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა საგანგებო კრებაა დანიშნული.

*** „ივერიის“ მკითხველმა იცის, რომ ამ ორის წლის წინად საგუბერნიო მმართველობამ განიზრახა დაბეჭდვა „სოფლის დებულებისა“. ძველი დებულება, რომელიც აღიბეჭდა 1865 წელს მთავარ-მართებელის, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბრძანებით, სრულიად აღარ მოიპოვება ჩვენს სოფლებში და, საცა-კი დარჩენილა, ისიც თაგვებს გამოუხრავთ. ამას გარდა, მცირეოდენი შესწორება და დამატება სჭირდებოდა ძველად გამოცემულს „დებულებას“, რადგან მას აქედ ბევრი ახალი კანონი გამოვიდა სოფლის ყოფა-ცხოვრების შესახები. ამ გვარად შევსებული, შეკეთებული და ენის მხრით შესწორებული დებულება საგუბერნიო მმართველობამ წარუდგინა მთავარ-მართებლის კანცელარიას და სთხოვა, შენის ხარჯით აღბეჭდე სოფლად დასარიგებლად და დანახარჯს მალე დაგიბრუნებთ, როდესაც წიგნებს გავყიდითო. სხვა-და-სხვა მიწერ-მოწერაში მიდიოდა საქმე და დღეს, როგორც შევიტყეთ სარწმუნო წყაროდან, მთავარ-მართებლის კანცელარიას ნებაც დაურთვია „სოფლის დებულების“ აღბეჭდვისა, დაბეჭდვისთვის საჭირო ხარჯი თვითონ უკისრია, მხოლოდ იმ პირობით, რომ დანახარჯი მალე დაუბრუნდეს. „სოფლის დებულება“ დაიბეჭდება რუსულ-ქართულად, რუსულ-სომხურად, რუსულ-თათრულად და ცალკე რუსულადაც რამდენიმე ცალი, რადგან ტფილისის გუბერნიაში ათამდე რუსების სოფლის საზოგადოება არის.

საგუბერნიო მართველობას რომ ჰქონდეს ცნობა, თუ ქუთაისშიაც წაიღებენ, მაშინ უფრო ბევრს ცალს დაბეჭდავდა, მაგრამ რადგან ასეთი ცნობა არ არის და არც არავის სურვილი გამოუცხადებია, ამისთვისაც დაიბეჭდება იმდენი ცალი, რამდენიც საჭიროა მხოლოდ ტფილისის გუბერნიისათვის.

*** შარშან „ქართველთა ამხანაგობამ წიგნების ბეჭდვისამ“ გამოაცხადა ორი პრემია ისტორიულის მოთხრობის დაწერისათვის. ერთი ოცთუმნიანი და მეორე ათ-თუმნიანი. ამ საგნის შესახებ განცხადება ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი 1890 წელს, № 243. პირობა ამხანაგობისა ის იყო, რომ 200 მან. პრემიას მიიღებს ის, ვინც უკეთესს მოთხრობას დასწერს ათის ბეჭდურის თაბახის სიდიდისას, ხოლო 100 მან.—ის, ვინც ხუთის ბეჭდურის თაბახის სიდიდისასო. ვადად პრემიაზე მოთხრობის წარდგენისა იყო დიდებული 1 ნოემბერი ამ 1891 წლისა. მაშასადამე, ვადა აგერ ერთს თვეს შემდეგ გადის და ცხადია, ვისაც დაუწერია ასეთი მოთხრობა, უნდა დააჩქაროს მისი წარდგენა.

*** ხვალ, ორშაბათს, 7 ოქტომბერს, საბჭომ უნდა აირჩიოს გამგეობის წევრთა შორის ერთ-ერთი ქალაქის თავის მოადგილედ. ამ თანამდებობას დღემდე ბ-ნი იზმაილოვი ასრულებდა.

*** წელს, მაისში, გამოვიდა ბრძანება უმართებულესის სენატისა, რომ იმათ, ვინც სახელმწიფო სამსახურში არიან, ნება არა აქვთ ვექილობა გასწიონ სასამართლოებშიო. ტფილისის სამოსამართლო პალატამ ეს ბრძანება ასე განმარტა: ნება არა აქვთ ვექილობისა ამასთანაებს მხოლოდ 1892 წლის პირველ იანვრიდამ, როცა გავა ვადა იმ მოწმობათა, რომელიც მიცემული ჰქონდათ ვექილობისათვის ოლქის სასამართლოს და სამოსამართლო პალატისაგანაო. ასეთი განმარტება საჭირო აღმოჩნდა იმიტომ, რომ ბევრს ეგონა, ბრძანების გამოსვლისათანავე აღეკრძალებათ სახელმწიფო სამსახურში მყოფთ ვექილობა, თუნდა მოწმობაცა ჰქონდეთ მიცემული ოლქის სასამართლოს, ანუ სამოსამართლო პალატისაგან წლის დამლევამდეო.

*** 14 ოქტომბრისთვის არის დანიშნული ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად საქმე ა. პ. ალნიაღვილისა, რომელსაც ბრალდება მოკვლა ი. კ. ბებუთაშვილისა ყარაიაზში, კალიის გაწყვეტის დროს. ამ საქმის გამო 16 მოწმეა სამართალოში დაბარებული.

*** დირბი (გორის მაზრა): წრევანდელს წელიწადს ვერაფრით ვერ დავემდურებით. მოსავალი რიგიანი მოგვივიდა პურისა, ქერისა, სიმინდისა და სხვა ხორბლეულისა, მაგრამ ღვინის მოსავალმა ყველა სხვა მოსავალს აჯობა. ვენახებს თვალად თითქმის საიმისოდ ძლიერ არ ესხა, მაგრამ გამოსავალი-კი დიდი ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ერთი-ორად მეტი მოვიდა წელს ღვინო ჩვენში, ვიდრე შარშან. ასეთივე კარგი გამოსავალი ჰქონდა ვენახებს სხვა ახლო-მახლო სოფლებშიაც: ტახტისძირსა, ბრეთსა და ბევრგან სხვაგან. ზოგან ბევრს ჭურჭელი არ ეყო და ტკბილს ბინა ვერ უშოვა. რაც დაობებული და დიდის ხნის უხმარი ქვევრები ჰქონდა ხალხს, რეცხვა დაუწყო და დააყენა მაჭრები. ქორწილების დროც მოვიდა. ღვინო ბევრი, პური საკმაო და აბა ქორწილების გაჩაღებას რაღა დაუშლის.

*** თითქმის ყოველს დღეს წაიკითხავთ ჩვენის გაზეთის ფურცლებზედ, რომ ტფილისის ესა-და-ეს ქუჩა განთქმულია თავისის სიბინძურით, წუმპე-ნაგვითა და ტალახ-ლაფითაო. მაგრამ, თუ ავიღებთ თუმანიშვილების ქუჩებს, როგორც დიდს, ისე ვიწროს, ამ მხრით უკანასკნელთ სეფე ალაგი უნდა დაეთმოთ. მცირე წვიმაც რომ მოვიდეს, უზარ-მაზარი ტალახი დგება, ამიტომ აქ არამც თუ ქვეითად, ეტლითაც გავლა საშიშო და შეუძლებელია, რადგანაც არა ერთი ჴ ორი მაგალითი მომხდარა, რომ ეტლები შიგ ჩარჩენილა, დამტვრეულა და თუ არ კამეჩებით, ცხენებით ყოვლად შეუძლებელი ყოფილა დანტვრეულ ეტლების გამოტანა. ამას გარდა, თითქოს განგებ, სწორედ ამისთანა ამინდების დროს, ერთ ერთი მცხოვრებელთაგანი მისცემს ხოლმე ვიწრო ქუჩაზედ სარეცხის წყალს და ისეთ ნაირად ითქვიფება უიმისოდაც ათქვეფილი ტალახი, თითქოს საგანგებოდ მოუმზადეს.

---

## ფელეტონი

### წერილი ნიცადამ

(ვუძღვნი ა. მ. ე—ის ქალს)

I

პარიჟის ოპერა-თეატრში ამზადებენ ამ ჟამად წარმოსადგენად ერთის ნიჭიერის კომპოზიტორის ბურგოლ-დუკუდრეის (Bourgaulf-Ducoudray) ოპერას, სახელად „თამარს“. ამ ოპერაში გამოყვანილია ჩვენის ისტორიის დამამშვენებელი თამარ-მეფე.

ჯერ არც ლიბრეტო ამ ოპერისა და არც პარტიტურა არ არის დაბეჭდილი და, როცა გამოვა, დაწვრილებით მოგწერთ ორიოდს ამბავს. ჯერ-ჯერობით-კი გაცნობებთ ლიბრეტტოს მოკლე შინაარსს, რომელიც შევიტყე ბურგოლ-დუკუდრეის ერთის მეგობრისაგან.

თამარი გამოჰყავს ავტორს ვითომ მეთხუთმეტე საუკუნეში, თუმცა იგი სცხოვრებდა მეთორმეტეში. ვითომ სპარსეთის შაჰი ნურედინი მოვიდა დიდის ჯარით საქართველოში, დაიპყრო მთელი სამეფო თამარისა და დაიწყო აკლება ქვეყნისა, ჩაგვრა და ჟლეტა ხალხისა. თამარი იძულებულ იყო, რომ არ ჩავარდნოდა ხელში მტერსა, დამალულიყო სადღაც მთებში.

თამარს უყვარდა ხალხი, გული სტკიოდა მისთვის და, როცა შეიტყო დაწვრილებით ქვეყნის უბედურება ნურედინის მიზეზით, მოიწადინა რანაირადმე ხალხის განთავისუფლება სპარსეთის შაჰის ხელიდგან.

სახით იყო მშვენიერი და გაიგო, რომ ნურედინისთვისაც უქიათ იმისი სილამაზე და რომ ნურედინს სურს იმისი ნახვა და გაცნობა. ამიტომ გადასწყვიტა მისვლა ნურედინთან და თავისის ხელით მოკვლა ქვეყნის მტერისა. შეუთვალა შაჰს სურვილი მისის ნახვისა და შაჰმაც მისცა ნება, თავისუფლად შეგიძლიან ჩემთან მოსვლაო.

თამარი შეუდგა გზას იმ განზრახვით, რომ უნდა მოეკლა ნურედინი, რომელიც არასოდეს არ ენახა.

რა მიუახლოვდა იმსის კარავს, ჰგონებდა, რომ შაჰი დახვდებოდა საზარელის სახისა, უგვანი და მხეცი, როგორც გველი ან ფოცხვერი, და უზომოდ განკვირვებული შეიქნა, როდესაც თვალწინ წარმოუდგა მშვენიერი ტანად და თვალად ყმაწვილი კაცი, კოხტა ჭაბუკი.

თამარს მოეწონა ნურედინი,—ნურედინიც გაგიჟდა „მზეებრ-ელვარე“ თამარის დანახვით.

ოც-და-ხუთის წლის ყმაწვილ-კაცს და თვრამეტის წლის ახალ-გაზდა ქალს, ორსავე მშვენიერებს, სულით და გულით შეუყვარდათ ერთმანერთი. სიყვარული ყოველ-დღე თან-და-თან უფრო და უფრო იტაცებდა ორივეს...

როდესაც თამარი ის იყო მიეცა დაავიწყებას, სიყვარულის ეშხით მთვრალი მზა იყო, დაენებებინა თავი მოარშიყესათვის, ამ დროს უეცრად წარმოუდგა თვალ-წინ ხალხის დაჩაგრული მდგომარეობა, მრთელის საქართველოს უბედურება ამ ერთის კაცის მიზეზით, წარმოუდგა თვალწინ დაქვრივებულ-დაობლებულების ცრემლი და მწუხარება,—მოაგონდა თავისი ფიცი, მოაგონდა მიზეზი ნურედინთან მოსვლისა და—საიდან მიეცა ღონე ახალგაზდა ქალის სულსა და მკლავსა—დასცა ხანჯლით ქართველთა სისხლის მსმელი ნურდენი თვის ფერხთა წინაშე.

თამარმა გადაიწერა პირჯვარი და სთქვა: საქართველო განთავისუფლდაო!...

II

ეს ოპერის ლიბბრეტო, რასაკვირველია, ცალიერი პოეზიაა ჴ ისტორიული ამ ამბავში სრულიად არა არის-რა, მაგრამ მაინც, როგორც პოეზია, მშვენიერებაა! პოეზიას ნება აქვს, სურათის ნათლად გამოსახატავად ხან-და-ხან გადაუხვიოს ისტორიულს გზასა: არავინ არ დააყვედრებს, მაგალითად, უკვდავს შილერს, რომ მისი „ქალწული ორლეანისა“ ჟანნა დ’არკ კვდება ომის ველზედ მტრის ტყვიით განგმირული და არა რუანის მოედანზედ დამწვარი ცეცხლში ინგლისელების ხელით.

მშვენიერია ბურგოლ-დუკუდრეის პოეზიით აღსავსე მოთხრობა თამარის შესახებ, მშვენიერია იმიტომ, რომ თამარის სურათი, თამარის ხასიათი, იმისი სიყვარული ქვეყნის მიმართ, იმისი ერთგულება ერისადმი და გულ-მტკივნეულება ქვრივ-ობლისათვის ნამდვილი სიმართლეა. თამარ-მეფე რომ ჩავარდნილ-იყო იმისთანა მდგომარეობაში, ნამდვილად ის-

ბიათო. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ვიწრო ქუჩას აქეთ იქით გვერდელა ამაღლებულები აქვს, რომლიდგანაც შუა გულს ტალახში ჩავარდნა ძლიერ ადვილია, და წარმოიდგენთ, როგორის ტანჯვა-წვალებით მიდის კაცი, რომელიც იმის შიშით, რომ არ წავიქცე და არ ამოვიზუნზლო ლაფში, ხან კედელს ებობღება, ხან ფიცარს, და თანაც სიბრაზისაგან რაღაცას ბურტყუნებს, თითქოს ქუჩის მცხოვრებლებს უზუზუნებსო. ბავშვების ცქერა ამ დროს ხომ სწორედ ტანჯვაა: ზოგი სად ჩაფლულა და წივის, ზოგი ველარ ჰბედავს ტალახში შესვლას, ზოგიც მთლად ტანისამოსიანად ამოზუნზლულა შიგ და მწარე ზუზუნით მიათრევს ფეხებს შინისკენ. რამდენად უყურადღებოდ არის მიტოვებული ეს ქუჩები და მათი მცხოვრებლები, ეს იქიდგანა სჩანს, რომ აგერ ხამჯერ მიუწოდებიათ დიდის ხვეწნითა და მოწიწებით თხოვნა, სადაც ჯერ არს, რომ თქვენი არა გვინდა-რა, ჩვენის ხარჯით დავაგებთ ქუჩებში ქვას, ოღონდ ნება-კი დაგვრთეთო, მაგრამ იმათს ყურში ბაი-ბუიც არ არის. მცხოვრებლები სწორედ სასოწარკვეთილებას მიეცნენ ასეთ უპატრონობის გამო. ასე გასინჯეთ აქ მიჩენილი ქალაქის გზირი „დესიატნიკიც-კი“ არად აგდებს ამათს გაჭირვებას, თუმცა ღია თვალით ძლიერ კარგად ჰხედავს, რომ იმის თვალწინ გამოდის ვიწრო ქუჩაზედ თითქმის მთელი რუ სარეცხის წყლისა და წუმპესი, რომელიც ალაფებს და სწამლამს იქაურობას. მცხოვრებლები ამბობენ, რომ უეჭველად როგორმე უნდა მოვაგვაროთ ეს საქმე, თორემ რომელი ეშმაკი გაუძლებს ზამთარში ყოველ დღიურს ზემოდ აღწერილს სურათს, რომელიც ყველას ჩვენგანს ცხვირ - წინ და კარ-წინ უნდა გვქონდეს თაიგულივით გადაშლილიო. თუ არ გვიპატრონეს, ვიშუამდგომლებთ, სადას ჯერ ამას, ასეთ უყურადღებობის გამოვო,

*** გაზ. „Тиф. Лист.“-ი ამბობს, რომ ქართული სამეურნეო გაზეთი „მეურნე“ მოისპოვო. ეს ამბავი მართალი არ არის. ჩვენ დაბეჯითებით ვიცით, რომ რედაქცია გაზეთისა ჰფიქრობს, ამ მოკლე ხანში კვლავ შეუდგეს გაზეთის ბეჭდვას.

*** გაზ. „Кавказъ“-ს გაუგონია, რომ ტფილისის სახელმწიფო თეატრის ანტრეპრიზას განზრახვა აქვს, საოპერო დასი იყოლიოს წელსაო, და ამ აზრით მოლაპარაკებაა აქვს ოდესის იტალიელთა საოპერო დასის იმპრესარიოსთანაო. ამ დღეებში იმ ოპერის სანდო კაცი მოვა ტფილისში და თუ მოლაპარაკებმა კარგად გათავდა, დეკემბრიდამ ტფილისში საოპერო დასი დაიწყებს წარმოდგენების მართვასაო.

*** გაზ. „Нов. Обоз“-ეს გაუგონია, რომ ფინანსთა სამინისტროში ამ ჟამად განსახილველად პროექტი იმ წესებისა, რა წესებითაც შესაძლოა ხიზნების მიერ გამოსყიდვა იმ მამულებისა, რომელიც დღეს იმათს ხელშია. ეს წესები დაიბეჭდება დასამატებლად იმ დებულებისა ხიზანთა შესახებ, რომელიც ამ ზაფხულს იქმნა დამტკიცებულიო.

*** პეტერბურგიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Русскія Вѣдомости“-ს: სენატის ჰეროლდიის დეპარტამენტმა დეპუტატთა კრებულთ აუხსნა, რომ ვინიცობაა მოხელეთ აზნაურობის უფლება შეიძინეს შესაფერის ორდენის მიღებით, ისინი პირდაპირ უნდა ჩაირიცხნენ იმ გუბერნიის თავად-აზნაურთა სიებში და არჩევანი აღარ უნდა მოხდესო.

*** 4 ოქტომბერს პილიციის მეოთხე ნაწილში, დავიდოვის სახლთან, იპოვნეს ორის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

---

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბები)

ზაფხულმა დაბამბული ჩაიცვა და საცაა ქურქსაც წამოისხავს. მიიწურა ის დრო, როდესაც ათასი ჭირი და სენი შეჭურვილ-შეიარაღებული დადის ქუჩებში და მიუპატიჟებლად სახლებში უვარდება საბრალო მკვიდრთ. სიცივემ ეს ზაფხულის ხშირი სტუმრებიც გააცია და სენ-ავადმყოფობისა და ქარ-მჭვალის დედა-ბუნაგში შეაკეტვინა თავი. სხვისა რა მოგახსენოთ და ხოლერამ-კი, რომელსაც კარგა ხანია სპარსეთიდგან თვალში მიზნად ვყევართ ამოღებული, დიდი ვალი, დიდი მადლი და სიკეთე დასდო ჩვენს ქალაქის თვით-მმართველობას. ჯერ ისეც ყბად-აღებულია ეს ქალაქის თვით-მმართველობა და მაშინ ხომ ტყავი არ შერჩებოდა ზედ და ხორცი.

საკვირველია-კი, რად გაუწია ეს ხათრიჯამი ხოლერამ ჩვენს ქალაქს და რად დასდო ასეთი დიდი სიკეთე ჩვენს თვით-მმართველობას? რა უნდოდა, იმ დალოცვილს, მობრძანებულიყო და მთელი ქალაქი ფიანდაზად გაშლილი დახვდებოდა. ასე დამზადებული ნიადაგი ვითომ სპარსეთში-კი ექმნება? ასეთი თანაშემწეები, როგორიც ჩვენის ქალაქის უსუფთაობაა და ავჭალის ავი წყალი, განა იქ-კი ეყოლება? რომ მობრძანებულიყო, ვგონებ ათი წელიწადიც არავის დაეთხოვნა, არამედ მიეხუტათ გულში და აღარავისთვის დაენებებინათ ეს სიკვდილის ნუგბარი. აშმორებულსა, ატალახიანებულსა და ამატლიანებულს წყალს ჩვენა ვსვამთ, სხვა-და-სხვა საუკუდმართო სურნელებას ჩვენა ვყნოსავთ, მწვირესა და ტალახში ჩვენა ვცურავთ, და ამდენის სიკეთის დამაგვირგვინებელი, ხოლერის მეტი, სხვა რაღაა!

ჩვენი ქალაქი სხვა ქალაქთა შორის სწორედ რომ უტოლოა და უსწოროა. ამას წინად ერთმა ევროპიდგან ჩამოსულმა ნაცნობმა არა-სახუმროდ იკითხა:

— თუ ღმერთი გწამთ, ამ ქალაქში მარტო ჯამბაზები და ცირკის მომალაყენი სცხოვრობენო?

— როგორა-მეთქი? გავიოცე.

— დალოცვილო, თუ არ ჯამბაზი, სხვა ვინ ივლის აბა ამ ქუჩებში უხიფათოდ. აქ შლიაპა მოიხადა და შუბლი მაჩვენა: აბა შემომხედეთ, რამდენიც ნაბიჯი გადავდგი, იმდენი წავიქეცი, და ეხლა უეცრად ერთის ოთახიდგან მეორეშიაც ველარა ვბედავ შესვლასაო.

შევხედე და, თქვენს მტერს, ის რომ სანახავი იყო: შუბლზედ სწორედ ცამეტი მუშტის ოდენა კოპი აჯდა, თითქოს კოტოში მოუკიდებიაო. მართლაც, ახირებული სანახავია ჩვენი ქუჩები: ერთგან რომ ხრამია, იქვე მეორე ალაგს უშველებელი ბექობი წამოჯგიმებულ - წამოპოლორჭიკებულა; აქ რომ ქვაფენილია, იქვე გვერდზედ მთელი მთა დგას მიწასთან შეზელილ ტალახისა, რომელსაც აბელას ორჩო-ფეხებითაც ვერ გაატანს ადამიანი; ერთგან რომ ქვა-თლილია დაგებული, მეორეგან ოკრო-ბოკრო გზა მიდის, გაუსწორებელი. ერთის სიტყვით, ჩვენი ქალაქი სულ ხტის, ასკინკილას თამაშობს და ჩაჩნურს უვლის.

ან ეს ამოდენა უსწორ-მასწორო უნდა გაასწოროს ჩვენის ქალაქის თვით-მმართველობამ და ან შემდეგი სამ-მუხლოვანი ბრძანება გამოსცეს.

1) კარანტინი დააწესოს და ყოველ უცხო ქვეყნელს, ჩვენს ქალაქში ჩამოსულს, რკინის გზის სადგურზედვე ეგზამენი დააჭერინოს. თუ ჯამბაზობა არ იცის და მიჰკა-მალაყებს ვერ გადავიდა, არ უნდა გაატაროს ქალაქში, უკანვე გააბრუნოს, რომ იმათი ცოდვა ტყუილად არ დავიდოთ. ამას გარდა, კარგს იზამდა აგრეთვე, რომ ეს ამოდენა მეზურნეები გამოეყვანათ, ყოველს ქუჩის თავსა და ბოლოში თითო-თითო დასტა დაეყენებინათ და ლეკურის „შებერვა“ დაევალებინათ, რადგან მაინც ხომ ვხტით და ვუვლით და მაშინ, ზურნის ხმაზედ, უფრო უკეთ მოვახერხებდით.

2) დურგლებს ორჩო-ფეხები შეუკვეთოს ბლომად და დაურიგოს ქალაქის მკვიდრთ და ან ბრძანება გამოსცეს, რომ სულ ყველამ ყელიანი წაღები ატარონ და თერძებმა შალვარი მხოლოდ მუხლის თავამდე შეჰკერონ ხოლმე, თორემ ამოდენა შალვრის ტოტების ცვეთით გული და სული წავიდა.

3) ბლომად გამოიწეროს რუსეთიდგან და ან საზღვარ-გარეთიდგან, რაც უფრო უკეთესია, სურნელოვანი წყალი „ეს-ბუკე“ და დააკანონოს, რომ ყოველს მკვიდრს თითო შუშა ამ სურნელოვანის წყალისა ცხვირზედ ჰქონდეს მაგრად აკრული და ისე დადიოდეს.

კარგი იქნებოდა, მაგრამ ჩვენის ქალაქის თვით-მმართველობას ამაებისათვის აბა სადა სცალიან. ქალაქის საბჭოს დარბაზის სტოლზედ სიგრძე-სიგანით გაუწვენიათ ის სილა, რომლითაც დააჯილდოვა ქალაქის სავაჭრო ზედამხედველმა ბ-ნმა ალიხანოვმა ბ-ნი ზავრიევი. ამ საქმეში ჩვენს საბჭოს და მასთან ერთად გამგეობასაც სწორედ დიდი, სოლოლაკის ოდენა „აფუ“ მოუვიდა. როდესაც ზავრიევმა იჩივლა, ჯერ გამგეობამ გადააყენა ბ-ნი ალიხანოვი სამსახურიდგან და მერე საბჭომ გაარჩია ეს საქმე და ისე გადმოაყენა. გამგეობამ მოსამართლის ჯაჭვი ჩამოიკიდა და სასჯელი მიუსაჯა თავისს მოხელეს, საბჭომ დასჯილს აყრილი უფლებანი ისევე მიანიჭა და არც სამართალში მისცა, მალულად თითქოს გაუღიმა კიდეც და საქციელი მოუწონა. ეხლა ეს გადაყენ-გადმოყენებული სავაჭრო პოლიციის მოხელე ისევ მოხელეობს, თუმცა სილით მას შემდეგ ჯერ არავინ დაუჯილდოებია, ბ-ნი ზავრიევი-კი, დაჯილდოებული, ისევ ატარებს ჯილდოს. სულ ბოლოს-კი აღმოჩნდა, რომ ამ საქმის გამრჩეველი არც გამგეობა იყო, არც საბჭო, ამათ მხოლოდ საქმის გარემოება უნდა აღენიშნათ და ბ-ნ ალიხანოვის გადაყენების ნებაც-კი არა ჰქონდათ. სასამართლომ იცოდა და ამ სილამ. თუ სასამართლო დასჯიდა ბ-ნს ალიხანოვს, მერე გამგეობას გადაყენებაც შეეძლო და გადმოყენებაც.

ბოლოს აღმოჩნდა, გაიგეთ, მკითხველო? იმასაც აღმოჩენა უნდოდა, რომ ქალაქის გამგეობა სასამართლო არ იყო და გამგეობის წევრნი— ყელზედ ჯაჭვ-გადაგდებული მომრიგებელ-მოსამართლენი. ამ ამერიკის აღმოჩენის სწორსა და ბადალს აღმოჩენას-კი გამგეობა-საბჭომ სამი კვირა მოანდომა. რა გვეთქმის იმის მეტი, რომ შაბაშ იმათს კოლუმბობას? თუმცა ამ თავისის უფლების აღმოჩენას ამდენს ხანს

გულსა ჰკრა გონის მშვილდით
საწადლის საგანს ისარი,

მაგრამ ბოლოს მაინც ხომ ჰკრა და ესეც კარგია. არჩილ მეფე ამბობს:

დიდი სიბრძნეა კაცისა
ცნობა თავისა თვისისა-ო,

და აკი ჩვენმა გამგე-მმართველებმაც იცნეს თავი თვისი და თავისნი უფლებანი. კოლუმბობასთან სიბრძნეც მათთვის დაგვილოცნია!..

დუშიკო

---

## ორიოდე სიტყვა

ერთის საყურადღებო საგნის შესახებ.

სახელმწიფო და სხვა გვარი გარდასახადი ხარჯი, როგორც ტფილისის გუბერნიაში, აგრეთვე საქართველოს სხვა გუბერნიებშიაც, ჩვეულებისამებრ, იკრიბება მკვიდრთაგან მხოლოდ ეხლა, შემოდგომას, რადგანაც ნათქვამია: შემოდგომა მსუქანიაო. თვით სოფლის გლეხ-კაცი, ცოტად თუ ბევრად შემოდგომაზე იდგამს სულს, სუქდება. მისი ერთად-ერთი სახსარი ცხოვრებისა — პურისა და ღვინის მოსავალი—თუ ესეც, რასა-

---

რე იმოქმედებდა. საკუთარის, პირადის გრძნობის დათრგუნვა და თავგადადებული მოქმედება ქვეყნის ბედნიერებისათვის სწორედ თამარ-მეფის ხასიათი იყო.

მას აქედ, რაც საქართველო არსებობს ისტორიულად დედა-მიწაზედ, ესე იგი, ოც-და-ორის საუკუნეს განმავლობაში, ჩვენს ქვეყანას იმისთანა ჩვენთვის სასიქადულო და იმისთანა სხივ-მომფენი, როგორც თამარ-მეფე, არავინ დაუბადავს. თამარზედ უძვირფასესი და უდიდესი არცა-რა ყოფილა, არცა-რა არის და არცა-რა უნდა იყოს საქართველოსთვის ამ წუთის-სოფელში. რაც უნდა გულ-ნაკრული, სასო-წარკვეთილი, დალონებული და შავ-ბედისაგან დაჩაგრული იყო, ჩემო მკითხველო,—სად ან რაში ჰპოვებ იმისთანა გამამხნევებელს და გამაცოცხლებელს ნუგეშს, როგორც თამარის მეფობის მოთხრობის გადაკითხვით ჩვენს „ქართლის — ცხოვრებაში“, სად ან რაში ჰპოვებ იმისთანა ამამაღლებელს ნუგეშს, რომელიც მოგეცემა, როდესაც თვალწინ წარმოგიდგება მაშინდელი საქართველო, ძლიერი, ბედნიერი, გამარჯვებული და ამაღლებული,—როდესაც წარმოგიდგება თვალწინ „დასნი და დასნი“ ვაჟ-კაცთა, სარგის და ზაქარია მხარგრძელნი, დავით სოსლანი, სარგის თმოგველი და ამისთანა მხნე და გულადი შვილნი ძლიერის მამულისა, ერთგულნი და თავგამწირველნი დამცველნი ქვეყნისა და მათ შორის, „პირველთა—შორის პირველი“, მათზედ მნათი და მათი გამამხნევებელი „მზებრ-ელვარე შვენებითა“, პატიოსანი, წმიდა მეფე თამარი!.. მის მაგიერ, რომ საფუძვლიანად გავიცნობდეთ იმისს ცხოვრებას, იმის მეფობის და მოქმედების მოთხრობას, იმის დროის ამბავს, იმის მაგიერ, რომ ზეპირად შევისწავლიდეთ ყოველისფერს, რაც-კი იმ საუკუნეს შეეხება, რადგანაც არც მანამდის და აღარც მას აქეთ იმისთანა ბედნიერება არ გამოუცდია საქართველოს, ჩვენ—დახედეთ ჩვენს უთავობას—თამარის სახელ-წოდებაც-კი არ ვიცით რიგიანად: ხან თამარ-დედოფალს ვეძახით (მწერლობაშიაც-კი!), როდესაც თამარ-დედოფალნი ყოფილან საქართველოში ბევრნი, თამარ-მეფე-კი გვყავს ერთად-ერთი; ხან ვუწოდებთ თამარ-მეფას, რომელიც უგვანო და არა ქართული სიტყვა „მეფა“ მოიგონა ანტონ კათალიკოსმა და განიმეორა განსვენებულმა პლატონ იოსელიანმა... თამარი იყო თამარ-მეფე და არა თამარ-დედოფალი, იყო მეფე და არა მეფა!..

## III

ჩვენ რომ ნაკლებად ვიცნობთ ჩვენსავე განმანათლებელს თამარს და იმის დროს, უცხოს როგორ დავაყვედროდ იმის შესახებ წალმა-უკუღმა ლაპარაკი!.. ლერმონტოვმა დასწერა თამარის თაობაზედ ლექსი, რომელშიაც გამოჰყავს თამარი ბოროტის ყოფა-ქცევისა, ყოველ საღამოს მიმღები შარა გზიდან დაძახილ მოარშიყე სტუმრისა და ყოველს დილას გადამგდები მიჯნურისა თერგის ზვირთებში, ყოველ ღამ მცვლელი მიჯნურისა და ყოველ დილას მკვლელი და დამრჩობი ადამიანისა!..

რომ ამ ნაირი იქნება იყო ვინმე „მეფე“ ან დედოფალი ჩვენს წარსულში, ამისი რა მოგახსენოთ! მაგრამ, რომ თამარ მეფე არ იყო არც ამ ნაირი და არც ერთი ბეწოდ ამისი მსგავსი, ამას რა თქმა უნდა!..

გაზრდილი იყო თავის მამიდის, ესე იგი, მეფე გიორგის დის რუსუდანის ხელში. 16 წლისა იყო, როდესაც შეირთო ქმარი, რუსეთის დიდის მთავრის ანდრია ღვთისმოყვარის (ბოლოლიუბსკის) შვილი გიორგი ანუ იური. როდესაც წმიდა ეკკლესიამ გაჰყარა თამარ და იური და როდესაც იური ავის ყოფაქცევისა და ლოთობისათვის განდევნილი იქმნა საქართველოდგან, თამარმა შეირთო დავით, ოსთა მთავრის შვილი, რომელსაც ქართლის ცხოვრებაში უწოდებენ დავით სოსლანს. ესეც რუსუდან-დედოფლის გაზრდილი იყო: პატარაობიდგანვე თამარის მამის სახლში იზრდებოდა. პატიოსანი, გულადი და მხნე ვაჟკაცი, დავით სოსლანი პატარაობიდგანვე იცნობდა თამარს და სიკვდილამდე არ მოშორებია. თამარს თითონ დაჰყავდა ჯარი მტრის წინაამდეგ, ლაშქარს თამარ-მეფე არ შორდებოდა და დავით სოსლანი, როგორც ერთი უკეთესი მეომართაგანი, ყოველთვის თან ახლდა მეფე თამარს. ამ ნაირად სიცოცხლეში ცოლ-ქმარი, ესე იგი, თამარი და დავითი, იყვნენ ყოველთვის განუყრელნი და განუშორებელნი. ასე რომ, კიდევაც რომ არაფერი ვიცოდეთ თამარის ყოფა-ცხოვრებისა, ეს ქმრის მუდამ იმის გვერდით ყოფ-

კვირველია, პირ-უკუღმა არ დაემხო, აძლევს უკანასკნელს ღონის ძიებას თავიდამ ვალის მოშორებისას. ეს გარემოება მაზრის ადმინისტრაციას კარგად აქვს გამოკვლეული და ამიტომ წლიური გარდასახადი, სახელმწიფო ხარჯის ფული, რომლის ნახევარი, კანონის ძალით, წლის პირველს ნახევარში უნდა იქმნას შეტანილ ხაზინაში, ზემოხსენებულის მიზეზის გამო იკრიბება მხოლოდ ეხლა. ქვრივობოლს და შეუძლებელს, ხელ-მოკლე, მეტად დაცემულს ოჯახს ამისთანა დროსაც უჭირს და ეძნელება გარდასახადის გაძლოლა. ამ შემთხვევაში კანონი არ არის მეტად სასტიკი და სხვა-და-სხვა შეღავათს აძლევს ხელ-მოკლეს. საჭიროა მხოლოდ, რომ იმ მოხელეებმა, ვისაც ამისთანა საქმე აქვს ჩაბარებული მცირეოდენი გულ-შემატკივრობა გამოიჩინოთ, ცოდნა იქონიონ კანონ-დებულებისა და მით უშეღავათოთ გაჭირვებულთ. ჩვენში ამისთანა მოხელენი ცოტანი არიან და თითქმის ყველანი იმას ფიქრობენ, ჩემი საქმე იყოს კარგად, თორემ სხვას კისერიც მოუტეხნიაო.

აი ერთი მაგალითი იმისი, თუ რაოდენი შეღავათი ეძლევა კანონით ხალხს, მეტადრე გაჭირვებულთ, მაგრამ ნამდვილად-კი ეს შეღავათი არა სრულდება და მხოლოდ ქაღალდზეა დარჩენილი.

შემოღებისთანავე საქართველოში სამხედრო ბეგრისა, ე. ი. 1887 წ. უმაღლესმა მთავრობამ დაინახა საჭიროდ, პირველადვე თან დაეყოლებინა ზოგიერთი შეღავათიც. სხვათა შორის, შესამსუბუქებლად ამ ჯერ შეუჩვეველ ტვირთისა, ახალმა კანონმა განათავისუფლა ყოველისავე სახელმწიფო და საზოგადო ხარჯის ფულის გარდახდისაგან ყველა ის კომლნი, რომლიდგანაც იქნებიან გაყვანილნი ჯარის-კაცნი. ეს შეღავათი, რაღა თქმა უნდა, დიდი შემწეობაა და დიდადაც შეუმსუბუქებს დედ-მამას თავის შვილის მოშორებას და იმისს დანაკლისს, რომ სასტიკად სრულდებოდეს და მთავრობის სურვილს სხვა-და-სხვათა გულ-მტკივნეულობა და კაცთ-მოყვარეობა ზედ ერთობოდეს. ეს მეორე წელიწადია ქართლში ის ხალხი, რომელიც უიმისოდაც შევიწროებულია ათასნაირის ხარჯითა და თავი მაღლა ვერ აუღია უუკიდურესის სიღარიბისა გამო, იძულებულია იხადოს ყოველ წლივ არა კუთვნილი საკომლო, ანუ როგორც იქ ეძახიან, ფოსტის ფული. რომ გამოვიანგარიშოთ—რამდენი კომლი რამოდენს ხარჯს ეწევა უსაფუძვლოდ, დავინახავთ, რომ გორის მაზრიდამ ყოველ წლივ გაჰყავთ ჯარის-კაცად 250-ზედ მეტი. ოთხის წლის განმავლობაში 1000 კაცი. მაშასადამე ათასივე კომლი თავისუფალი უნდა იყოს ყოველისავე სახელმწიფო ფულის გარდასახადისაგან და ეხლა-კი ეს 1000 სახლობა, რომელსაც თითოზე საშუალო რიცხვით 10 მანეთი მაინც შეხვდება, იხდის 10,000 მან. ყოველ წლივ.

გლეხ-კაცის სახლობისათვის დიდად ძნელია, რომ მუშა კაცი მოაშორონ რამდენისამე წლით და თან კიდევ სახელმწიფო ხარჯიც უკლებლივ ახდევინონ. ჩვენის აზრით, ყოვლად საჭიროა, რომ ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, საქმე რიგიანად იქმნას გამოკვლეული და, ვისაც კანონი შეღავათს აძლევს, ისინი მართლა შეღავათში იყვნენ. დიდი საქმეა სწორედ, რომ ათიათასს მანათს ერთი მაზრა ყოველ წლივ იხდიდეს სრულიად უკანონოდ, მთავრობის სურვილის წინააღმდეგ.

## სიტყვა გლადსტონისა

ნიუკესტლში წარმოთქმული

(დასასრული, იხ. „ივ.“ № 211, „უცხოეთი“)

როდესაც გლადსტონი შეუდგა იმისს განხილვას, თუ ჯერ რომელი ცვლილება უნდა მოახდინონ ლიბერალებმა და ან რომელი საქმე უნდა გააკეთონ ყველაზე ადრე, ასე სთქვა: „ყოველი ჩვენგანი უთუოდ იმას იტყვის, რომ თავი და თავი საქმე ირლანდიის საქმეაო. ეჭვი არ არის, რომ ირლანდიამ ღირსეული საპატიო ადგილი უნდა დაიჭიროს. ეს საგანი უკვე გადაწყვეტილი საგანია და თანაც იმ გვარის მოსაზრებითაა დასაბუთებული, რომელიც, ჩემის აზრით და—რაიცა უფრო უკეთესია—ერის აზრითაც, მოსაწონია და შესაწყნარებელი. ამასთანავე ლიბერალთა დასმა უნდა განაწესიეროს პარლამენტის საქმეც ე. ი. უნდა გაარკვიოს დეპუტატთა რაოდენობა და ვინაობა და ისეთი წესი შემოიღოს, რომ თითოეულს კაცს თავისი კენჭი ჰქონდეს. ჯერ-ჯერობით არ შეგვიძლიან, ვსთქვათ, სახელდობრ როგორ და რა რიგად უნდა მოეწყოს ეს საქმე, ხოლო ამ ცვლილების შემოღება უტყუარი ნიშანი-კი იქნება ჩვენის ერის წინ-სვლისა და ჩვენს კანონმდებლობასაც აუცილებლად განაწესიერებს. ახლა სხვა უფრო რთულს საქმეს უნდა შევეხო, რომელსაც თან მრავალი გამოსაკვლევი საგანი სდევს. ამ საქმემ ადრე თუ მალე ძლიერ დიდი ყურადღება უნდა მიიქციოს. მე მოგახსენებთ შრომისა და მუშების თაობაზე. მუშების სასარგებლოდ დიდი საქმე გავაკეთეთ 1885 წელს, დიდი სიკეთე ჩავიდინეთ, რომ სამს მილიონს მოქალაქეს ამომრჩევლობის უფლება მივანიჭეთ, მაგრამ კიდევ ბევრი დაგვრჩა გასაკეთებელიც. აქ უპირველესად საჭიროა შეცვლა „lodger Franchise“-ის (ამომრჩევლობის უფლების ქონება იმის მიხედვით, თუ ვინ რამდენს იხდის სადგომის ფულს) წესისა, რადგან ეს წესი საქმეს შეძლებულ მცხოვრებელთაკენა სჭრის და ხელმ-მოკლე მუშა ხალხს აზარალებს. „ლიბერალთა დასის მოვალეობაა მუშათა წარმომადგენლობის გაძლიერება პარლამენტში. ამ წამომადგენლობას კარგი შედეგი მოჰყვა და ძლიერ დიდი სარგებლობაც მოგვიტანა. მუშათა წარმომადგენელების გამრავლება პარლამენტში მარტო სასურველი საგანი-კი არ არის, არამედ ძლიერ საჭიროც. მაგრამ ამასთანავე ზოგი სხვა საქმეც უნდა გაკეთდეს, ურომლისადაც მუშათა წარმომადგენლობის გაძლიერება შესაფერს ნაყოფს ვერ გამოიღებს: არჩევნებისათვის გაწეული ხარჯი კანდიდატთა ჯიბეს-კი არ უნდა დააწვეს, არამედ სახელმწიფომ, საზოგადოებამ უნდა იკისროს. იგი საქმე საზოგადოების სამსახურია და ხარჯიც, რასაკვირველია, საზოგადოებასვე უნდა ჰხვდეს. ამასთანავე იგივე საქმე სასარგებლო არა მარტო მუშათათვის, არამედ მთელის სახელმწიფოსთვისაც და თუ ეს ასეა, განა სამართალი მოითხოვს, რომ მუშამ თავისი ჯიბე იფლანგოს და ისე ემსახუროს ქვეყანას? არჩევნებისა და სესსიების დროს ლონდონში ყოფნა და თავის რჩენა ადვილი არ არის მუშათათვის და ამიტომ, ჩემის აზრით, საჭიროა სახელმწიფომ აძლიოს კანდიდატებს შემწეობა და შეაძლებინოს კისრებულის მოვალეობის რიგიანად შესრულება. დაწვრილებით არ განვმარტავ ამ საგანს, მაგრამ ვიტყვი-კი, რომ იგი საჭიროა და ყოვლად სამართლიანი.

გლადსტონმა დიდს ხანს ილაპარაკა მუშათა საქმის შესახებ და ბოლოს კვლავ ირლანდიის საქმეს დაუბრუნდა, ვრცლად განმარტა იგი და იმით დაასრულა თავისი სიტყვა.

აქ ორატორმა ჯერ ის აღნიშნა, რომ ყოველგან ლიბერალთა კრების დროს უმთავრესი ყურადღება ამ საქმეზეა ხოლმე მიქცეულიო. „ორს უმთავრესს მიზეზს გარდა, ეს გარემოება იმ მოსაზრებითაც აიხსნება, რომ კონსტიტუცია რიგიანად ვერ იმოქმედებს, ვიდრე ირლანდიის საქმე გადაუწყვეტელი იქნებაო“. შემდეგ ორატორმა მოიხსენია, აწინდელი კაბინეტი აპირობს, მომავალს სესსიაზე ბილლი წარადგინოს იმის შესახებ, რომ ირლანდიის ადგილობრივს მმართველობაში ცვლილება იქმნას შემოღებულიო. ამ ამბავს სიხარულით უნდა მივეგებოთ, რადგანაც ირლანდიისთვის საარჩევანო საბჭოების მინიჭება ხალხს უფრო ძლიერ აალაპარაკებს ჰომრულის სასარგებლოდ. მაგრამ იმ ბილლის ერთი მუხლი-კი ვერ არის მოსაწონი, სახელდობრ ის მუხლი, რომელიც ამ საარჩევანო საბჭოებს ნებას არ აძლევს, ზედამხედველობა იქონიოს პოლიციაზე. ამ გვარის უფლების მოკლება ძლიერ საგრძნობელია, თითქმის იმასვე უდრის, რომ საზოგადოებათა პალატას ნება ჩამოართვან ხარჯის გაწერის ან განწესიერებისა. დაბოლოს გლადსტონმა კვლავ განიმეორა, კონსევატრების პოლიტიკა ირლანდიის შესახებ უნაყოფოაო, და იმითი დაასრულა სიტყვა, რო ინგლისის ერი ვერ მოითმენს, კვლავ შეწუხებული, რათა კვლავაც რომ დაჩაგრული დარჩესო.

## უცხოეთი

**გერმანია.** გერმანიის პარლამენტი მალე დაიწყებს თავისს ჩვეულებრივს მუშაობას ამ შემოდგომაზე. ბერლინელები ჰგონებენ, რომ პარლამენტის მუშაობაში ექს-კანცლერი თ. ბისმარკიც მიიღებს მონაწილეობასაო. თუმცა ბისმარკს უთქვამს ამას წინად პრუსიის ერთის პრინცისათვის, როცა ამ პრინცს უკითხავს, ამ ზამთარს ბერლინში გაატარებთ თუ არაო: დიაღ, ბერლინში-კი ვიქნები, მაგრამ რეიხსტაგში-კი არაო, მაგრამ მაინც ბერლინელებს ეს არა სჯერათ. თ. ბისმარკი, რაც უნდა იყოს არ იკადრებს დეპუტატად ყოფნას ცალიერის სახელით და სასაცილო იქმნებოდა, რომ ისეთი კაცი, როგორიც არის ბისმარკი, დასჯერდეს როლს დეპუტატისას—in partibus infidelium. არ სჯერათ სხვათა შორის იმიტომაც, რომ ბისმარკი დაჰპირდა თავისს დროზე თავის დეპუტატად ამომრჩეველთ გესტერმიუნდეში: მე ჩემს ადგილზე ვიქმნები, როცა ამას მოითხოვს ჩემი მოვალეობა დეპუტატისაო.

ჯერ-ჯერობით-კი ბისმარკი მივიწყებაშია და თავისს სოფელში ატარებს დროებას. მოხუცს ბისმარკს არ ივიწყებს მხოლოდ მისი გულ-წრფელი, დიდის ხნის მტერი ევგენი რიხტერი, მეთაური თავისუფალ მოაზრეთა დასისა. ამას წინად კრება ყოფილა ამ დასისა ჰანნოვერში და რიხტერს არც ამ კრებაზე დაუვიწყნია თავისი ძველი ნაცნობი. აი რა უთქვამს რიხტერს ამ კრებაზე: „ის, რასაც ვებრძოდით მთელის ათის წლის განმავლობაში, აღარ არსებობს დღეს გერმანიაში; მას შემდეგ, რაც თ. ბირსმაკი დაეთხოვა სამსახურს, განჰქრა თაყვანის-ცემა თითოეულის ადამიანისა, ესრედ-წოდებული კულტი ერთად-ერთის კაცისა. ნელ-ნელა, მეტის სიფრთხილით-კი, ვიდრე ჩვენ გვსურს, ჰქრება ისიც, რაც ბისმარკმა დაჰბადა და შეჰქმნა. ჯერ პირველად მოვიშორეთ თავიდამ განსაკუთრებული, ძალ-მომრეობის კანონი, შემოღებული სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ; ახლა ჰქრება დევნა ელზასელებისაცა. ან-კი საეჭვო იყო განა, რომ სასტიკი საპასპორტო წესები არაფერს სიკეთეს არ მოგვიტანდა და მხოლოდ გააბოროტებდა ხალხს? კარგად მოგეხსენებათ, რომ ბისმარკი რომ ყოფილიყო დღესაც კანცლერად, ის წესები დღესაც ისევ მოუსპობელი იქნებოდა. როცა ჩვენ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, ორ წლამდე შევამციროთ ვადა ჯარში სამსახურისაო, გამოგვიცხადეს, რომ თქვენ მტრები ხართ იმპერიისაო, ახლა-კი თვით სამხედრო საქმეთა დიდი მცოდნენი ამბობენ, რომ საჭიროა ეგ შემცირება ჯარში სამსახურის ვადისაო და შესაძლოა ეს აზრი მალე განხორციელდეს კიდეც. პარლამენტს წელს წარედგინება განსახილველად სავაჭრო ხელ-შეკრულობანი.

---

ნა საკმარისი იქნებოდა დასამტკიცებლად, რომ თამარი არ იყო იმისთანა, როგორც ლერმონტოვის ზღაპარშია გამოყვანილი. მაგრამ „ის რად გვინდა, როდესაც „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილია, როგორც ვფიქრობ იმისავე თანა მდეროეთაგან, ყოველი იმისი ნაბიჯი ძალიან დაწვრილებით,—სად როდის ყოფილა და სად როდის გაუვლია; ყოველივე ესე სჩანს ქართლის ცხოვრებიდან: დარიალში ან სადმე თერგის პირად თავის დღეში არცა მდგარა და არც გაუვლია... ქართლის ცხოვრებაში გამოხატულია, როგორც ანგელოსებრ წმინდა, ღვთის-მოყვარე, კეთილ და დიდად მაღალი ზნეობიანი... პოეტს-კი გომოჰყავს ეს საქართველოს ეკკლესიისაგან წმინდა თანა შერიცხული (?) სინათლე-თამარი ვიღაცა გარყვნილ დედაკაცად!..

IV

შემდგომ თამარისა იმეფა ცოტა ხანს მისმა შვილმა ლაშა-გიორგიმ და მას უკან გამეფდა კიდევ ქალი, და ლაშა-გიორგისა და ქალი-შვილი თამარისა, რუსუდან, რომელიც არც ხასიათით და არც ზნეობით არ ჰგავდა თავისს დედას, როგორც მოგვითხრობს მატიანე.

რათგანაც თამარის მეფობას თითქმის მოჰყვა რუსუდანის მეფობამც, შეიძლება რომელიმე მოქმედება რუსუდანის დროს მომხდარი, ხალხმა მიაკუთვნა თამარის მეფობას. თამარის სახელი ხომ აქამომდე დარჩა დაუვიწყარი ყოველგან საქართველოში შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე და კავკასიის მთებიდამ ტრაპიზონამდე. რუსუდანის სახელი-კი, რასაკვირველია, მალე განქრა ხალხში, რადგანაც არაფრით არ იყო შესანიშნავი.

ამიტომ შესაძლებელია, რომ ექვსას და შვიდას წელიწადს უკან, რუსუდანის დროს მომხდარი ამბავი, ხალხმა თამარის დროს მიათვისა, მაგალითად, დარიალში თერგის პირად რუსუდანის დროს და იქნება თოთონ რუსუდანისათვისაც აშენებულს კოშკს ხალხმა დაარქვა თამარის კოშკი.

რადგანაც რუსუდანის დროს საქართველოს ეწია დიდი უბედურება, ლანგ-თემურის მოსვლა, რადგანაც ლანგ-თემური ჟლეტდა და იკლებდა საქართველოს, რუსუდანს უნდა შეეფარებინა თავი სადმე და იქნება დარიალში იმალებოდა იმ დროს.

ამ ნაირად კოშკში, სადმე თერგის პირად, დამწყვდეული, უქმრო, უშვილო და უსაქმო, იქნება რუსუდანი შეექცეოდა შარა-გზაზედ გამვლელ-გამომვლელ გზავრების მოპატიჟებას და იქნება თუ არ ისე, როგორც ლერმონტოვის ზღაპარშია, დაახლოვებით იმ ნაირად ატარებდა დროს,— ვინ იცის!

ეს-კი ვიცით და ვიცით ბეჯითად, რომ ლერმონტოვის ლექსში გამოყვანილი თამარი თამარ-მეფეს ისე არა ჰგავს, როგორც არა ჰგავს ღვთის-მშობელს, ან წმინდა-ნინოს, ან ჟანა დარკს!..

ლერმონტოვის შეცდომილება ჩვენი ბრალია: ლერმონტოვს იქნება გაეგონა სადმე ლეგენდა (თურმე არის სადღაც მთებში ამისთანა ლეგენდა), რომ იყო ერთი მეფე-ქალი საქართველოში, რომელიც ამა-და-ამ ნაირად ატარებდა დროს დარიალის კოშკში დამწყვდეულიო. სახელი იმ მეფე-ქალისა რუსუდანი არ უკითხავს.—წინადაც და შემდგომაც გაუგონია ხშირად, რომ ყოფილა საქართველოში თამარ-მეფე, მშვენიერის სახისა. იქნება კიდევაც უკითხავს რომელისამე ნაცნობის აფიცერისთვის („აფიცერ იზ-გრუზინ“), თუ ყოფილან თამარს გარდა სხვა მეფენი-ქალნი. ამაზედ ბევრი ქართველი აფიცერი ეტყოდა, რომ თამარს გარდა, სხვა ქილი მეფე არავინ ყოფილა საქართველოშიო, რადგანაც ბევრმა არ იცის ჩვენში დღესაცა, რომ რუსუდანიც მეფობდა, და ამ ნაირად იფიქრებდა ლერმონტოვი, რომ ის ამბავი თამრზედ არის მაშ სწორედ ნათქვამიო..

მე ვიცნობდი ერთს ქართველს აფიცერს, კარგის თავადიშვილის გვარისას, შთამომავალს თამარისავე ერთის მეომართაგანისას, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ თამარ-მეფე სწორედ იმისთანა ყოფილა, როგორიც ლერმონტოვის ლექსში არის გამოყვანილი... ვაი სირცხვილო... ძალიან გაკვირვებული დარჩა, როცა ვუამბე, რა იყო და რა ნაირი იყო თამარ-მეფე.

— „მე კიდევ ისიც მეგონა, რომ რუსთაველს ჰყვარობდაო“, წამოროშა რუსულად წარჩინებულმა „კნიაზმა კაპიტანმა“.

საიდამ სადაო, წმინდაო საბაო!..

ნიკ. დიმიტრიძე

21. ენკენისთვეს 1891,

ქ. ნიცა

ესეც იმის ნიშანია, რომ მთავრობას უნდა ხელი აიღოს პროტექციონობაზე და თავისუფალს ვაჭრობას დაულოცოს გზა“.

დასასრულ რიხტერმა ილაპარაკა ველფებისა და საზოგადოდ იმათ შესახებ, ვისაც აბრალებენ, თქვენ განდგომა გინდათ და სეპარატიზმს ადგევხართო. „მე დიდი პატივის ცემა მაქვს იმ ჰანნოვერლებისა, რომელთაც არ უღალატეს თავის სამშობლოს ჟამსა გაჭირვებისასა, მაგრამ ჩემის აზრით, ყოველს პროვინციალურს სიმპატიაზე მაღლა უნდა იდგეს საზოგადო ინტერესები გერმანიისა. მიეცით ჰანნოვერის სასახლეს მისი ძალ-მომრეობით მოღებული ‍ბ სახაზინოდ შერიცხული საუნჯენი: ესრედ-წოდებულმა ველფების ფონდმა ანუ რეპტილიების ფონდმა ჩვენ არავითარი სიკეთე არ მოგვიტანა; მიეცით, უკანვე დაუბრუნეთ, მაგრამ იმას-კი ნუ იფიქრებთ, რომ ძველს, წარსულს დავუბრუნდეთო. ამით იმის თქმა-კი არ მინდა, რომ ვითომ მე მომხრე ვიყო ცენტრალიზაციისა, როცა ტაინი სოვეტნიკი, როგორც უნდა, ისე გადასწყვეტს ბედს პროვინციისას; სრულიადაც არა: ერთობა, ერთიანობა მტკიცეა და ძლიერი მხოლოდ მაშინ, როცა დიდად წარმატებულია დაბა ‍ბ სოფლის, პროვინციის თვითმმართველობა. ამას-კი მაინც ნუ დავივიწყებთ, რომ ეხლანდელის დროების ვითარება იმას-კი არ მოითხოვს, რომ ვამრავლოთ რიცხვი უგანათლებულესთა მთავართა, არამედ ვიზრუნოთ საყოველთაო ქონებრივის წარმატებისა და თავისუფლების განმტკიცებისათვის, ვიზრუნოთ ყველასათვის, ვინც ჩვენს სამშობლოში სცხოვრობენ ‍ბ მკვიდრობენ, რა ტომისანიც უნდა იყვნენ ‍ბ რა ენითაც უნდა ლაპარაკობდნენ იგი მკვიდრნი და მოსახლენი.

ამავე კრებაზე იურისტს ფონ-ბარს, სახელოვანს პროფესორს ჰეტინგენის უნივერსიტეტისას უთქვამს, რომ დიდს უმრავლესობას გერმანიის ერისას გულწრფელად ჰსურს მშვიდობიანობაო, იმიტომ რომ ერი არას დროს არ იტყვის, აი და ომი აუცილებლად საჭიროაო. ამიტომ მთავრობის სალმრთო ვალია, აიცილოს თავიდამ ყოველივე მიზეზი და საბაბი ომიანობისა. „თუ ეხლა ზოგიერთს უცხო ქვეყანას ეტყობა, რომ იქ სძულთ სხვა ქვეყნელები,—უთქვამს ორატორს,—ამისი მიზეზი ისევ ჩვენვე ვართ. ამისთანა მძულვარებას დასაბამი მისცა ჩვენმავე მთავრობამ, რომელმაც 1880 წწ. დაუწყო დევნა და გადასახლება აუარებელს პოლშელებსა. ბისმარკის თავიდამ მოცილების შემდეგ, საბედნიეროდ, ამისთანა ამბები მოისპო ჩვენში“.

აი ასეთის სასიქადულო აზრების ქადაგებით ჰკვებავენ ერს იმ დასის მეთაურნი, რომელსაც გერმანიაში თავისუფალ მოაზრეთა დასს ეძახიან და რომელიც თ. ბისმარკს, თავისს განუსაზღვრელ ბატონობის დროს, ჭირივით სძულდა და ქვეყნის მტრად ჰსახავდა.

---

## წვრილი ამბავი

ახირებული სანაძლეო. ლონდონში ერთი ინგლისელი, ფრანგი და ამერიკელი დანაძლევებულან, ვინ უფრო მეტს ბიფშტექსს შესჭამსო. გამარჯვება ინგლისელის დარჩენია, რომელსაც 30 ცალი ბიფშტექსი გაუთავებია. შესაწყალი ხარჯი 15 გირვანქა ყოფილა.

— ამერიკის გაზეთები სწერენ, რომ ჩიკაგოში ერთს მილიონის პატრონის ცოლს ისეთი ყელსაბამი აქვს, რომლის ბადალიც მთელს ქვეყანაზედ არ მოიპოვებაო. ეს ყელსაბამი საგანგებოდ შენახულ-გამოყვანილის, გაძვალებულის და ოქროთი მოჭედილის... ადამიანის თვალებისაგან არის თურმე ასხმული. ეს თვალები პერუელების აკლდამებში ნაპოვნ მუმიებისაგან არის ამოღებული, მაგრამ ის-კი არავინ იცის, რა საშუალებით, ან რა წამლების შემწეობით არის ისე შენახული, რომ ამდენის ხნის განმავლობაში არც ფერი და არც ელვარება არ დაუკარგავს. ამბობენ, რომ ვერა თვალმარგალიტი ვერ შეედრება ამ ყელსაბამს სიმშვენიერითა და ელვარებითაო; მაგრამ მაინც თუ არ ამერიკელი ქალი, ძნელად ვინმე ატარებს ყელზე ამ უცნაურს სამკაულს.

— იმპერატორს ვილჰელმს II თავის კანცლერ კაპრივისათვის შემდეგი ბრძანება მიუცია: „ფრეგატი ბისმარკი“ ჩემის სამხედრო ხომალდების სიიდგან ამოშალე და სხვა რამ დანიშნულება მიეციო.

— „ბოკაჩიოს“ ავტორს, რიჰარდ ჟუნეს კიდევ ერთი ოპერეტი დაუწერია, რომელსაც სახელად „სამთა კავშირი“ ეწოდება თურმე.

— ნიუ-იორკში „Manchester Examiner“-ის სიტყვით, ახალი საზოგადოება დაარსებულა, სახელად „ჩრდილოეთ-ამერიკის ქოლგების გამქირავებელი საზოგადოება“. ამ საზოგადოებას თანხად ჰქონია 300,000 მანათი ნაღდი ფული და 25,000 წვიმის ქოლგა. ვისაც ჰსურს, ამ საზოგადოებისაგან ქოლგა იქირაოს, თურმე წელიწადში 6 მანათი უნდა გადიხადოს და საზოგადოება მარკას აძლევს. ვისაც ეს მარკა აქვს, შეუძლიან, თუ ვინიცობაა წვიმამ მოასწრო სადმე ქუჩაში, საზოგადოების მახლობელს საწყობში მივიდეს (ამ ნაირი საწყობი ამ ჟამად ნიუ-იორკში 800-ია სხვა-დასხვა ალაგას), წარადგინოს თავისი მარკა და გამოართვას რიგიანი აბრეშუმის ქოლგა; შემდეგ რომელს საწყობსაც უნდა დაუბრუნოს ეს ქოლგა, ხელახლად მარკას მისცემენ. საზოგადოებას უნდა თურმე ამ ნაირი საწყობები ჩრდილოეთ ამერიკის ყველა ქალაქში დააარსოს; ასე რომ, ვინიცობაა ნიუ-იორკში ქოლგა იქირავეთ, შეგიძლიანთ თუნდ სან-ფრანცისკოში დაუბრუნოთ და თქვენი მარკა უკანვე მიიღოთ. საწყობები გაიმართება საუკეთესო თეატრსა, სასტუმროსა, რკინის გზის სადგურებსა, აფთიაქებსა და თამბაქოს მაღაზიასთან.

— ერთს ზანგს ბირმინგამში ერთის ჩინელისთვის ქრისტიანობა მიუღებინებია და თითონვე მოუნათლავს. საქმე იმაშია თურმე, რომ ეს ზანგი პასტორი სტანდფორტი ყოფილა. აუარებელი ხალხი შეყრილა იმის საყურადღებოდ, თუ როგორ მონათლავს შავი პასტორი ამ გაქრისტიანებულს ჩინელსაო.

---

პეტერბურგის ბირჟა, 4 ოქტომბერი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 55 | 7, 60 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151 | 151½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 234½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 219½ |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | — ,, | — ,, | 211 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


## განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი . . | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. . . . . | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . . | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . . | 1 | „ |

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მღებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წყალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

### სამღებრო და ლაქის ამოსაყვანი ქარხანა

და ვიღებ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშას, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვიღებ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქიანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—23) ქარხანის პატრონი არტემ ანჯაფარიძე

---

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

### დ ა ნ ი ა

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია.

(36—86—29)

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

### „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. | . . . 10 | მ.—კ. | 6 | თთვით | . . . 6 | მ.—კ. |
| 11 | ,, | . . . 9 | ,, 50,, | 5 | ,, | . . . 5 | ,, 50,, |
| 10 | ,, | . . . 8 | ,, 75,, | 4 | ,, | . . . 4 | ,, 75,, |
| 9 | ,, | . . . 8 | ,, —,, | 3 | ,, | . . . 3 | ,, 50,, |
| 8 | ,, | . . . 7 | ,, 25,, | 2 | ,, | . . . 2 | ,, 75,, |
| 7 | ,, | . . . 6 | ,, 50,, | 1 | ,, | . . . 1 | ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---

გამოიცა ალექსანდრე როინაშვილის მიერ

### ძმური სიტყვა

დ. მაჩხანელისა

და ისყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში;

ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში;

გორში არსენ კალანდაძესთან;

თელავში ილია ზარაფოვთან;

სიღნაღში კოტე ბალაშვილთან და კოტე ნადირაშვილთან.

ოზურგეთში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

წიგნი ღირს ხუთ შაურად. ვინც 10 ცალს ერთად იყიდის გამომცემლისაგან, აბაზად დაეთმობა. (10—79—5)